ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №1991524

ნომერი: AR1320996

თარიღი : 01.07.2015

გაცემის თარიღი : 03.07.2015

გაცნობის თარიღი : 05.07.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი II და III მ/რ შორის კორპ. N19-ის მოპირდაპირედ.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა ძაგნიძე პ/ნ 01007015689
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 59 ბ. 19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოსადგენად ვადის განსაზღვრის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 23 ივნისს #AR1320996 განცხადებით მომართა ბექა ძაგნიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2014 წლის 12 ნოემბრის

#1590516 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 12 ნოემბრის #1590516 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, დიდი დიღომი II და III მ/რ შორის კორპ. #19-ის მოპირდაპირედ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი #01.10.06.001.026), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის "ა" ბლოკის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 12 ნოემბრიდან 2016 წლის 12 სექტემბრის ჩათვლით. 2014 წლის 12 ნოემბრის #1590516 ბრძანებაში დამკვეთად მითითებულია შპს გარდინერ ინტერნაშიონალ ბილდინგ სერვისიზ, რომლის დირექტორს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის: #B14092344; მომზადების თარიღი: 19/09/2014 წ.; ს/კ: #401998772 ) თანახმად, წარმოადგენს ბექა ძაგნიძე.

დღეისათვის განმცხადებელი ითხოვს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 12 ნოემბრის #1590516 ბრძანებაში ცვლილების შეტანას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ, საცხოვრებელ ფართობად 637.3 კვ.მ–ის ნაცვლად 3636.4 კვ.მ–ის, საზაფხულო ფართობად 330 კვ.მ–ის ნაცვლად 347.6 კვ.მ–ის დაფიქსირებას. ამასთან, სამყოფისათვის ფართობი განისაზღვრება მის შემომსაზღვრელ კედლებს შორის არსებული იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობით, მათ შორის არსებული საყრდენი კედლებისა და კოლონების ფართობის გარეშე (ბინის ფართობში არ იანგარიშება ასევე საყრდენ კედლებში და ბინის შემომსაზღვრელ კედლებში არსებული ღიობები, ბინაში არსებული იატაკის სხვადასხვა დონეების დამაკავ-შირებელი შიდა კიბე და მისი ბაქანი).

იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, საჭიროა წარმოდგენილ იქნას შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის იდენტური გეგმების ის ნაწილი, რომლის ფართობებსაც ეხება ცვლილება, შესწორებული მაჩვენებლების დატანით. ასევე, წარმოდგენილ იქნას შეცვლილი საერთო ფართობი. ვინაიდან, თქვენი მოთხოვნა ეხება საერთო ფართობში შემავალ სათავსებს და არა კოეფიციენტების საანგარიშო ფართობებს, საჭიროა გასწორდეს მოთხოვნის ტექსტი და სწორად დაფიქსირდეს საცხოვრებელი ფართობი. ამასთან, განაცხადი არასწორად იქნა დარეგისტრირებული ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის ველში. ამავე განაცხადის საფუძველზე მოგეცემათ ნომენკლატურის შეცვლის შესაძლებლობა. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისთვის საჭიროა განაცხადი დაარეგისტრირთ სამსახურის ვებ–გვერდზე (www.tas.ge) ელექტრონული განცხადებების ველში, „სამართლებრივი საკითხები“ არჩევის შემდეგ უნდა მონიშნოთ – „ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ – სამართლებრივ აქტში“.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემულ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან სხვა ინფორმაცია.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დაავალოს განმცხადებელს 5 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის იდენტური გეგმების ის ნაწილი, რომლის ფართობებსაც ეხება ცვლილება, შესწორებული მაჩვენებლების დატანით. ასევე, წარმოადგინოს შეცვლილი საერთო ფართობი. ვინაიდან, თქვენი მოთხოვნა ეხება საერთო ფართობში შემავალ სათავსებს და არა კოეფიციენტების საანგარიშო ფართობებს, საჭიროა გასწორდეს მოთხოვნის ტექსტი და სწორად დაფიქსირდეს საცხოვრებელი ფართობი. ამასთან, შეუცვალოს განაცხადს ნომენკლატურა („სამართლებრივი საკითხები“ – „ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ – სამართლებრივ აქტში“).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაევალოს განმცხადებელს 5 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის იდენტური გეგმების ის ნაწილი, რომლის ფართობებსაც ეხება ცვლილება, შესწორებული მაჩვენებლების დატანით. ასევე, წარმოადგინოს შეცვლილი საერთო ფართობი. ვინაიდან, თქვენი მოთხოვნა ეხება საერთო ფართობში შემავალ სათავსებს და არა კოეფიციენტების საანგარიშო ფართობებს, საჭიროა გასწორდეს მოთხოვნის ტექსტი და სწორად დაფიქსირდეს საცხოვრებელი ფართობი. ამასთან, შეუცვალოს განაცხადს ნომენკლატურა („სამართლებრივი საკითხები“ – „ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ – სამართლებრივ აქტში“);
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში ბექა ძაგნიძის 2015 წლის 23 ივნისის #AR1320996 განცხადება დარჩეს განუხილველი;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, #6), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.